

კონკურსში მონაწილეობის პირობები

ობსერვატორიის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად

მუხლი 1. კონკურსში მონაწილეობის ძირითადი პირობები

1. დაწესებულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ დაწესებულების მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნული პირობა დაკმაყოფილებულია თუ:

ა) პირს საკონკურსო განცხადების წარდგენის დღის მდგომარეობით უკავია ობსერვატორიის სამშტატიო განრიგით განსაზღვრული მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობა, რაც დასტურდება ობსერვატორიის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით, ან

ბ) თუ საკონკურსო განცხადების წარდგენის დღის მდგომარეობით პირს არ უკავია ობსერვატორიის სამშტატიო განრიგით განსაზღვრული მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობა, თუმცა ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით დაუდგინდა შესაბამისობა მთავარი მეცნიერი თანამშრომლის (აქვე, მუხლი 2) ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის (აქვე, მუხლი 3) თანამდებობისათვის დადგენილ მოთხოვნებთან (პირობებთან).

მუხლი 2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობისათვის დადგენილი პირობები (მოთხოვნები)

1. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობისათვის დადგენილი ძირითადი პირობები (მოთხოვნები):

ა) აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

გ) აქვს განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები, კერძოდ, 2010 წლიდან გამოქვეყნებული მინიმუმ 5 სტატია მაღალი (>2) იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისად.“;

2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობისათვის დადგენილი დამატებითი პირობები (მოთხოვნები):

ა) იცნობს სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდებას;

ბ) იცნობს სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის შინაგანაწესს;

გ) იცნობს საქართველოს კანონს „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“ (I-II, IV, VI და VII თავები).

მუხლი 3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობისათვის დადგენილი პირობები (მოთხოვნები)

1. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობისათვის დადგენილი ძირითადი პირობები (მოთხოვნები):

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) 2010 წლიდან გამოქვეყნებული მინიმუმ 5 სტატია ერთზე მეტი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისად.

2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობისათვის დადგენილი დამატებითი პირობები:

ა) იცნობს სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდებას;

ბ) იცნობს სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის შინაგანაწესს.